საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი)

2016 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

კანონმდებლობა - 3

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი - - - - - - 6

2016 წლის ბიუჯეტი - 9

2016 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - - - - - - - - - 15

საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - - - - - - - - - - - - - - - - 26

გეგმები 2017 წლისთვის - 29

კანონმდებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების" თანახმად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას.

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით, შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2016 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №215 განკარგულებით.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონისა და სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ეყრდნობა 10 ფუნდამენტურ პრინციპს:

„ა) მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური

მონაცემებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს;

ბ) პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა – ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით უნდა მიიღონ;

გ) ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა ინფორმაცია სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად უნდა წარადგინონ;

დ) სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება;

ე) სტატისტიკური წყაროს არსებობა – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს;

ვ) კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება;

ზ) საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა – კანონმდებლობა, ნორმები და ზომები, რომელთა ფარგლებშიც ფუნქციონირებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემა, საჯაროა;

თ) ეროვნული კოორდინაცია – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს შორის კოორდინაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის მისაღწევად;

ი) საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ საერთაშორისო ცნებების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების შეთანხმებულობასა და ეფექტიანობას;

კ) საერთაშორისო თანამშრომლობა – ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას.“

საანგარიშო წელს, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა და ამოქმედდა ორი მნიშვნელოვანი ცვლილება:

1. გაეროს რეკომენდაციის შესაბამისად, დადგინდა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის არაუმეტეს 10 წლიანი პერიოდულობით ჩატარება.
2. საქსტატის საბჭოს ფუნქციათა შორის განისაზღვრა სტატისტიკური კლასიფიკაციების დამტკიცება. ამ აუკანასკნელის საფუძველზე, 2016 წლის 28 ივლისს საქსტატის საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების სტატისტიკური კლასიფიკატორი (NACE, rev.2) მეორე რედაქციით, ხოლო 6 დეკემბერს მსოფლიო ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი.

2016 წელს, ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177[12] მუხლზე დაყრდნობით, ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მეწარმე ფიზიკური და იურიდიულ პირთა მიმართ შედგენილი იქნა 147 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და წარედგინა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მათგან 125 ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177[12] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევი მეწარმე სუბიექტის გაფრთხილებას და ერთი თვის ვადაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 22 ოქმი შედგენილია ამავე მუხლის მე-2 ნაწილის დაყრდნობით, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 200 ლარის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ საქსტატი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციულ სანქციაზე ორიენტირებული ორგანიზაცია და ყოველთვის ცდილობს საწარმოებთან მუდმივი კონტაქტის, ინდივიდუალური მუშაობის, ინფორმაციის წარდგენაში დახმარებისა და პროცესის გამარტივების მეშვეობით უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიულ დონეზე სანქციის დაწესებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოუპასუხებელ საწარმოთა შემცირების თვალსაზრისით. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ კვარტალური ინფორმაციის წარუდგენლობისთვის შედგენილი ოქმების შემცირების დინამიკას:



ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

(საქსტატის საბჭო, მრჩეველთა საბჭო)

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქსტატის საბჭოსა და საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს.

საქსტატის საბჭო

საქსტატის საბჭო შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ’’ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით”.

საქსტატის საბჭოს ფუნქციებია:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
5. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
6. საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
10. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ’’ კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საქსტატის მრჩეველთა საბჭო

2015 წელს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, ითვალისწინებს საქსტატის საკონსულტაციო ორგანოს - საქსტატის მრჩეველთა საბჭოს შექმნას. რომელის წევრებსაც (არანაკლებ 8) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო წევრობის კანდიდატები შერჩეული იქნებიან სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმინობის გამოცდილების მქონე) შორის.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებია:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
3. სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი და საქსტატის საბჭოსათვის წინადადებების მომზადება;
4. სტატისტიკური მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის საბჭოსათვის კონსულტაციის გაწევა ანდა წინადადებების წარდგენა;
5. საქსტატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
6. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;
7. სტატისტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
8. რესპონდენტებთან კომუნიკაციის მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
9. გამოუპასუხებლობის შემცირების ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.
მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

საქსტატის საშტატო განრიგი

2016 წელს, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 221 საშტატო ერთეულით (170 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 51 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 11 სამმართველო (ეროვნული ანგარიშების სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის

სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო, აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველოს სტატუსით), შიდა აუდიტის სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო და 8 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, თელავის სამმართველო, გორის სამმართველო, ქუთაისის სამმართველო, ბორჯომის სამმართველო, რუსთავის სამმართველო, ფოთის სამმართველო და ბათუმის სამმართველო **(იხილეთ დანართი 1)**.

საშტატო განრიგი წარმოდგენილია **დანართი 2** – ის სახით. ერთი თვის სახელფასო ფონდი შეადგენს 248 350 ლარს. მაქსიმალური ხელფასი 2950 ლარი, მინიმალური – 800 ლარი. საშუალო ხელფასი - 1123 ლარი.

სტატისტიკური კვლევების, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამის და საქსტატის სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით 2016 წლის განმავლობაში აყვანილ შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 730 ერთეულს.

2016 წლის განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გამოცხადებული იყო კონკურსი შტატით გათვალისწინებულ 10 ვაკანტურ თანამდებობაზე და შტატგარეშე თანამშრომლის 2 პოზიციაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი შემოიტანა სულ 976 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მოწვეული იყო სულ 46 კანდიდატი. კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 8 კანდიდატი (მ/შ 2 შტატგარეშე თანამშრომელი). 4 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად.

საქსტატის 2016 წლის ბიუჯეტი

საქსტატის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს: სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

"საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 7 800 000 ლარს, გრანტების გეგმა 375 813 ლარს, ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავალების გეგმა კი 250 000 ლარს, სულ წლიური შემოსავალების გეგმამ შეადგინა **8 425 813 ლარი.**

საანგარიშო წლის განმავლობაში, "2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის და "საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში, რის შედეგადაც დაზუსტებული გეგმა-ხარჯი ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილების სახით.

2016 წლის საქსტატის საკასო ხარჯმა სულ შეადგინა **8 006 469 ლარი,** მათ შორის: **საბიუჯეტო სახსრები – 7 547 305 ლარი**, **გრანტები – 344 699 ლარი**, **საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 114 465 ლარი.**

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- **შრომის ანაზღაურება** – **3 703 448** ლარი, (**მ.შ.** თანამდებობრივი სარგო - 2 795 048 ლარი, პრემია - 583 950 ლარი, დანამატი - 324 450 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – **4 128 822** ლარი, **მათ შორის**:
  შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 3 357 448 ლარი;
  მივლინება – 82 400 ლარი;
  ოფისის ხარჯი – 360 319 ლარი;
  წარმომადგენლობითი ხარჯი – 17 804 ლარი;
  სამედიცინო ხარჯი - 200 ლარი;
  რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 1 036 ლარი;
  ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 90 836 ლარი;
  სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -218 779 ლარი;
- **სოციალური უზრუნველყოფა** - **104 972** ლარი;
- **სხვა ხარჯები** - **46 561** ლარი;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - **19 220** ლარი;
- **ვალდებულებების კლება** – **3 446** ლარი (ამ მუხლით გაცემულია 1998-2002 წლების სახელფასო დავალიანება 4 პირზე).

დაფინანსების წყაროების მიხედვით ბიუჯეტის შესრულება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საქსტატის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულება - საბიუჯეტო ასიგნებები (ლარი)

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	შესრულების %
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	**სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)**	**7,800,000**	**0.0**	**7,800,000**	**7,547,305**	**252,695**	**97**
1	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221.0			
2	ხარჯები	7,775,000	-3,450	7,771,550	7,524,639	246,911	97
3	შრომის ანაზღაურება	3,525,000	110,000	3,635,000	3,633,048	1,952	100
10	საქონელი და მომსახურება	4,160,000	-151,450	4,008,550	3,772,337	236,213	94
25	სოციალური უზრუნველყოფა	70,000	38,000	108,000	104,972	3,028	97
26	სხვა ხარჯები	20,000	0.0	20,000	14,282	5,718	71
27	არაფინასური აქტივების ზრდა	25,000	0.0	25,000	19,220	5,780	77
	ვალდებულებების კლება	0.0	3,450	3,450	3,446	4	100
47 01	**სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა**	**4,600,000**	**145,000**	**4,745,000**	**4,570,097**	**174,903**	**96**
1	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221			
2	ხარჯები	4,575,000	141,550	4,716,550	4,547,431	169,119	96
3	შრომის ანაზღაურება	3,525,000	110,000	3,635,000	3,633,048	1,952	100
10	საქონელი და მომსახურება	970,000	-3,450	966,550	806,596	159,954	83
25	სოციალური უზრუნველყოფა	60,000	35,000	95,000	93,505	1,495	98
26	სხვა ხარჯები	20,000	0.0	20,000	14,282	5,718	71
27	არაფინასური აქტივების ზრდა	25,000	0.0	25,000	19,220	5,780	77
	ვალდებულებების კლება		3,450	3,450	3,446	4	100
47 02	**სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა**	**2,860,000**	**-132,000**	**2,728,000**	**2,675,488**	**52,512**	**98**
2	ხარჯები	2,860,000	-132,000	2,728,000	2,675,488	52,512	98
10	საქონელი და მომსახურება	2,855,000	-132,000	2,723,000	2,671,092	51,908	98
	სოციალური უზრუნველყოფა	5,000	0.0	5,000	4,396	604	88
47 03	**მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა**	**340,000**	**-13,000**	**327,000**	**301,720**	**25,280**	**92**
2	ხარჯები	340,000	-13,000	327,000	301,720	25,280	92
10	საქონელი და მომსახურება	335,000	-16,000	319,000	294,649	24,351	92
	სოციალური უზრუნველყოფა	5,000	3,000	8,000	7,071	929	88

1.1 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4701

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 4 600 000 ლარს, დაზუსტებული - 4 745 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 4 570 097 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 96 %-ია.

ეკონომიამ შეადგინა - 174 903 ლარი.
განმარტება:
ეკონომია ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებით, კომუნალური ხარჯების შემცირებით, ტრანსპორტის ხარჯის შემცირებით
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

1.2 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4702

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 2 860 000 ლარს, დაზუსტებული - 2 728 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 2 675 488 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ია.

ეკონომიამ შეადგინა - 52 512 ლარი
განმარტება:
გამოკვლევების მიმდინარეობის პერიოდში რესპონდენტების ნაწილი უარს აცხადებდა კვლევებში მონაწილეობაზე, შესაბამისად გამოუპასუხებლობის შედეგად წარმოიქმნა ეკონომიები.
სოციალური უზრუნველყოფის მუხლში ეკონომია წარმოიშვა შრომისუუნარობის ფაქტობრივი შედეგების საფუძველზე.
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სტატისტიკური კვლევების მომზადება, ჩატარება, მონაცემთა მოზიდვა, დამუშავება და გამოქვეყნება.

1.3 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (საბიუჯეტო ასიგნებები) - 4703

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 340 000 ლარს, დაზუსტებული - 327 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა 301 720 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 92 %-ია.

ეკონომიამ შეადგინა - 25 280 ლარი
განმარტება:
ეკონომია გამოწვეულია მივლინების და ოფისის ხარჯების დაზოგვით და ზოგიერთი თანამშრომლის ვადაზე ადრე გათავისუფლებით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საველე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების დამუშავება, ანალიზი და საბოლოო შედეგების გამოქვეყნება.
მიღებულ იქნა 2014 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის დამუშავებული მონაცემთა ბაზა და გავრცელდა საბოლოო შედეგები.

2. საქსტატის მიერ 2016 წელს მიღებული გრანტები

საქსტატის მიერ 2016 წელს დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ერთი საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო ორი საგრანტო ხელშკერულება მოქმედებდა 2015 წლიდან 2016 წლის ჩათვლით. გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებულია 375 813 ლარი. ხარჯებმა შეადგინა 344 699 ლარი, ხოლო სხვაობა 31 114 ლარი წარმოადგენს დონორების მიერ 2016 წელს ავანსად ჩარიცხულ თანხას, რომელიც გათვალისწინებულია 2017 წლის სამუშაოების დასაფინანსებლად.

N	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	დაფინანსება 2016 წ. (ლარი)	საკასაო ხარჯი 2016 წ. (ლარი)
1	აგრობიზნესის განვითარების ცენტრი (GCAD)	"სოფლის მეურნეობის სტატისტიკის პროფესიული განვითარება".	24.08.2016-31.12.2017	32 000 აშშ დოლარი	73 139	42 026
2	International Labour Office - ILO	"საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა"	15.07.2015-15.11.2016	369 235 ლარი	291 897	291 897
3	Asian Development Bank - ADB	"სტატისტიკური პოტენციალის განვითარება სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის".	27.07.2015-30.06.2017	120 000 აშშ დოლარი	10 776	10 776

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- **საქონელი და მომსახურება** – **344 699** ლარი, **მათ შორის**:
  შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება –294 291 ლარი;
  მივლინება – 2 725 ლარი;

ოფისის ხარჯი – 4 800 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯი – 3 127 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -39 756 ლარი;

GCAD-ის გრანტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები და სემინარები საქსტატის თანამშრომელთათვის, საველე პერსონალისთვის და სოფლის მეურნეობის სტატისტიკის პარტნიორი უწყებების თანამშრომელთათვის.

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ფინანსდება "საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის" პროექტი.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანია გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე.

3. საქსტატის მიერ 2016 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა **103 153 ლარი**.

2016 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა **114 617** ლარი, მათ შორის:

1) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში 2010 წლის 22 ნოემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებულია სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასური. 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე საქსტატში შემოსულია **2719** ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან **699** წერილზე გაწეულ იქნა ფასიანი მომსახურება, **1 624** წერილზე გაიცა უფასო ინფორმაცია, **303** წერილი გაუქმდა განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო **93** წერილში მოთხოვნილ ინფორმაციას საქსტატი არ ფლობდა ან ის კონფიდენციალურ ინფორმაციას შეიცავდა.

აღნიშნულ პერიოდში ფასიანი ინფორმაციების მიწოდებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - **102 942 ლარი**, რაც დარგობრივი სამმართველოების მიხედვით ასე გამოიყურება:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 67 019 ლარი, 65.1 %
- ბიზნეს სტატისტიკა - 32 139 ლარი, 31.2 %
- ფასების სტატისტიკა - 2 318 ლარი, 2.2%
- სოციალური სტატისტიკა - 652 ლარი, 0.7%
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - 277 ლარი, 0.2%
- სხვადასხვა - 537 ლარი, 0.6 %

გარდა ამისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2016 წელს გაფორმდა ერთი ხელშეკრულება კერძო სტატისტიკური კვლევის განხორცილების თაობაზე. მიღებულმა შემოსავალმა **11 675** ლარი შეადგინა.

2) 2016 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა **114 465** ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- **შრომის ანაზღაურება** – **70 400** ლარი, (**მ.შ.** პრემია - 70 400 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – **11 786** ლარი, **მათ შორის**:
  შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 3500 ლარი;
  ოფისის ხარჯი – 8 286 ლარი;
- **სხვა ხარჯები (გადასახადები)** - **32 279** ლარი.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს **103 305 ლარს.**

2016 წელს განხორციელებული ცვლილებები და ინფორმაციის გავრცელების საშუალებები:

2016 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებების და სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი პრინციპის მიხედვით. კერძოდ:

1. მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება;
2. ახალი პროდუქტები და ხარისხის გაუმჯობესება;
3. სტატისტიკის წარმოების პროცესები და ხარისხის აუდიტი;
4. საერთაშორისო თანამშრომლობა (იხ. შემდეგი თავი).

1. მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება

საქსტატი სტატისტიკური ინფორმაციის გასავრცელებლად კომუნიკაციის რამდენიმე საშუალებას იყენებს:

- ვებ-გვერდი;
- მონაცემები PC–Axis-ის ფორმატში;
- სოციალური მედია – (Facebook და სხვა);
- სტატისტიკური მომსახურება – ელ. ფოსტა და ცხელი ხაზი;
- ანდროიდის ტიპის მობილური ტელეფონების აპლიკაცია;
- ვებ-გვერდის საშუალებით სტატისტიკური ინფორმაციის სიახლეების გამოწერის სერვისი;
- პუბლიკაციები;
- დოკუმენტირებული ანგარიშები;
- პრეს-რელიზები;
- პრესკონფერენციები და სხვა ღონისძიებები.

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია მეთოდოლოგიური განმარტებები ძირითადი სტატისტიკური მიმართულებებისათვის *(საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია იხ. დანართი 3).*

საქსტატის ახალი სერვისები 2016 წლისთვის

2016 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს მონაცემთა გავრცელების ახალი სისტემა შესთავაზა. უწყების ვებ-გვერდს დაემატა რეგიონული რუკა, სადაც დეტალურადაა დატანილი კონკრეტული რეგიონის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნულმა სიახლემ ვებ-გვერდის მომხმარებელს საშუალება მისცა უფრო მარტივად და სწრაფად მოიძიოს მისთვის სასურველი რეგიონის სტატისტიკური ინფორმაცია.

2016 წლიდან ასევე სიახლეა მაჩვენებლების გავრცელების კუთხითაც. სტატისტიკურ კალენდარში არსებული მაჩვენებლები გარდა ტექსტური ნაწილისა ვრცელდება ბანერის სახით, სადაც დატანილია ძირიდათი მაჩვენებლები. ბანერი თავსდება საქსტატის ოფიციალურ ვებ გვერდზე და უწყების სოციალურ ქსელში. ბანერი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ინფორმაცია მიიღოს სწრაფად და მარტივად.

ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდზე შემოსულთა რაოდენობის შესახებ. 2016 წელს:

- მომზადდა 76 პუბლიკაცია;
- გავრცელდა 122 პრეს-რელიზი;
- საქსტატიდან წერილობით გასულია 2395 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია, რაც 5%-ით მეტია 2015 წელთან შედარებით;
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 478 704 მომხმარებელმა, რაც 12%-ით მეტია 2015 წელთან შედარებით.
- 2015 წელს საქსტატმა გამოსცა და გაავრცელა 4 კვარტალური და 13 წლიური პუბლიკაცია.

გასული წლების მსგავსად, 2016 წელსაც უწყება აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში პერმანენტულად იმართებოდა შეხვედრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრები გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ხარისხის მართვა, ენერგეტიკის სტატისტიკა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმის შემუშავება და სხვა. რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. უწყების მიერ აღინიშნა ქართული სტატისტიკის დღე.

სტატისტიკური საქმიანობის უკეთ კოორდინირებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით მემორანდუმი გაფორმდა ბულგარეთის სტატისტიკის სამსახურთან, მომზადდა მომერანდუმის პროექტები ყირგიზეთისა და ლიტვის სამსახურებთან, რომელიც 2017 წელს გაფორმდება.

2. ახალი პროდუქტები და ხარისხის გაუმჯობესება:

გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ხარისხის გაუმჯობესება საქსტატის მუდმივ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

2016 წელს საქსტატის 600-მდე საველე პერსონალს ყველა ძირითადი კვლევის მიხედვით ჩაუტარდა ტრენინგი.

2016 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შექმნა ახალი პროდუქტები:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშება შემადგენელი კომპონენტების მიხედვით (კვარტალური, წლიური);
- ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების გავრცელება ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდართული კლასიფიკაციის (SITC) მიხედვით (ყოველთვიური, წლიური);
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევა შინამეურნეობებში (წლიური);
- არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გამოკვლევა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ გამოკვლევად, დაემატა ახალი ინდიკატორები და განხორციელდა მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი (წლიური);
- სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების კვარტალური გამოკვლევა (კვარტალური, წლიური);
- საწარმოთა ინოვაციური აქტივობის მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი (წლიური);
- საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში მაჩვენებლის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი (წლიური);
- საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოთა მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი (წლიური).

3. სტატისტიკის წარმოების პროცესები და ხარისხის აუდიტი

- 2016 წელს გრძელებოდა არსებული პროცესების სტანდარტული დოკუმენტირება. დოკუმენტაცია მოიცავს სამუშაო პროცესების დეტალურ აღწერას კვლევების ყველა ეტაპზე – მათი დაგეგმვიდან მონაცემების გავრცელებამდე. ამჟამად სტანდარტიზებულ ფორმატში აღწერილია სტატისტიკურ პროცესთა 80%-მდე. შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებულია ერთიანი სტანდარტის შესაბამისად მეტამონაცემების/ხარისხის მოხსენებების მომზადება. 2016 წელს დაიწყო მუშაობა დოკუმენტების ელექტრონული მართვის ერთიან სისტემაზე, რომელიც ეფუძნება სტატისტიკური პროცესების მართვის საერთაშორისო სტანდარტს (GSBPM). სისტემა უზრუნველყოფს მომავალში სტატისტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ერთიან სტრუქტურიზებულ და ორგანიზებულ ფორმატში თავმოყრას.
- შემუშავდა და დამტკიცდა სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს გადასინჯვის ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს.

- მომზადდა მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვისთვის აუცილებელი დოკუმენტები – მონაცემთა კონფიდენციალურობის პოლიტიკა, საქსტატის თანამშრომელთა მიერ კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფის ხელწერილი, ბიზნეს სტატისტიკის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმძღვანელოები.

მონაცემთა გავრცელების ვადების შემცირება, კვლევის მეთოდების დახვეწა:

- საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები გამოქვეყნდა საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-19 დღეს, ნაცვლად 21-ე დღისა.
- კვლევის „თეატრის მუშაობის მონაცემები“ კითხვარის შევსება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში.

გავრცელებული პუბლიკაციები:

- საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2015
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015
- საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი 2016
- მეწარმეობა საქართველოში 2015
- დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2016
- საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015
- საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2015
- საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2015
- ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა 2015

2016 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

ეროვნული ანგარიშები

ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიის SNA 2008 დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის შედეგად განხორციელდა:

1. ექსპერიმენტული სექტორული ანგარიშების ფორმირება ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.
2. ეროვნული ანგარიშების წარმოების დეტალური მეთოდოლოგიური განმარტებების შემუშავება.
3. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება SNA 2008-ის მიხედვით, კვლევისა და დამუშავების სფეროში, რომლის ფარგლებშიც ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები განიხილება, როგორც ინვესტიცია ძირითად კაპიტალში.

გრძელდება ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობა. კერძოდ, მიმდინარეობს დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია საფუძვლად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას.

განხორციელდა შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დეტალური სტრუქტურის გაანგარიშება, სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების წონების განახლების მიზნით.

ფასების სტატისტიკა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

- ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების უახლესი სტრუქტურის მიხედვით, განხორციელდა 2017 წლის სამომხმარებლო კალათის წონების განახლება. 2017 წლის სამომხმარებლო კალათა შედგება 305 დასახელების საქონლის და მომსახურებისგან.

მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსები

- განხორციელდა საწარმოების განახლებული ბაზის შერჩევა და წონების გაანგარიშება სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა, სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შეძენილი მასალებისა, ექსპორტის და იმპორტის ფასების ინდექსებისთვის. იმპორტის ფასების ინდექსის გამოქვეყნება საქსტატმა დაიწყო 2017 წელს, თუმცა წლიური ინდექსების მიღების მიზნით 2016 წელს მიმდინარეობდა აღნიშნული ინდექსის გაანგარიშება.

მშენებლობის ღირებულების ინდექსის საცდელი გაანგარიშება

2016 წლის განმავლობაში ჩატარდა მშენებლობის ფასების ინდექსების საპილოტე გაანგარიშების მოსამზადებელი სამუშაოები, რაც მოიცავდა მრავალბინიან საცხოვრებელ შენობაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურის გამოსავლენად სამშენებლო კომპანიების გამოკვლევას. აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ღირებულების ინდექსის გაანგარიშება დაიწყება 2017 წელს კვარტალური პერიოდულობით.

<u>საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა</u>

- განხორციელდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარების და შესაბამისი ინსტრუქციების ცვლილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე;
- საგარეო ვაჭრობის მონაცემები გავრცელდა ახალი კლასიფიკაციით: ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) კლასიფიკაციის მიხედვით;
- განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტალიზაცია, შემადგენელი კომპონენტების მიხედვით (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია, სავალო ვალდებულებები).

<u>ბიზნეს სტატისტიკა</u>

- განხორციელდა გენერალური ერთობლიობის განახლება და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი. ერთობლიობაში აქტიურ საწარმოთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 7%-ით და შეადგინა 98 ათასი. გარდა ამისა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით გაუმჯობესდა გენერალური ერთობლიობის ხარისხი: აქტიურ საწარმოთა წილი, რომლებსაც არ აქვთ მითითებული ეკონომიკური საქმიანობის სახე, 4%-დან შემცირდა 2,4%-მდე.
- ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გამოკვლევა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ გამოკვლევად, დაემატა ახალი ინდიკატორები და განხორციელდა ფინანსური მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. გამოკვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით.
- განხორციელდა სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების კვარტალური გამოკვლევა.
- მიმდინარეობდა მუშაობა ევროსტატის ექსპერტების მიერ მომზადებული ბიზნეს სტატისტიკის სექტორული მიმოხილვის რეკომენდაციების განხორციელებაზე, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- განხორციელდა საწარმოთა ინოვაციური აქტივობის მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

- განხორციელდა საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.
- განხორციელდა საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოთა მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი სხვადასხვა სფეროში (შერჩევის მეთოდოლოგია, ბიზნეს რეგისტრი, ენერგეტიკის სტატისტიკა). ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის ინტერვიუერებს ყველა რეგიონში ჩაუტარდათ ტრენინგები (დაახლოებით 140 ინტერვიუერი ქვეყნის მასშტაბით).

სოციალური სტატისტიკა

- დასრულდა ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა. 2016 წელს განხორციელდა კვლევის შემდეგი აქტივობები: კვლევის პირველადი მონაცემების კომპიუტერში ჩაწერა, ლოგიკური კონტროლი და გაწმენდა; მიღებული მონაცემების დამუშავება; ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის პუბლიკაციის შემუშავება და გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, განხორციელდა კვლევის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც გაშუქდა მედიასაშუალებებით. პრეზენტაციას ესწრებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ILO) და ბავშვთა შრომის საკითხებით დაინტერესებული სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა ემყარებოდა გაერო-ს შესაბამის კონვენციებს ბავშვთა შრომის აღმოფხვრის შესახებ და მიზნად ისახავდა ბავშვთა ეკონომიკურ/არაეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის დადგენას. კვლევამ მოიცვა დაახლოებით 7700 შინამეურნეობა, რომელშიც ცხოვრობდა 5-17 წლის ბავშვი.
- გაგრძელდა პილოტური კვლევა "გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე". 2016 წელს შეიქმნა კვლევის მონაცემებიდან მისაღები ინდიკატორების სია და განისაზღვრა მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია. ამასთან, დაიწყო და 2017 წელსაც გაგრძელდება ინდიკატორების გაანგარიშება და საჭიროების შემთხვევაში მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიის დახვეწა. კვლევა ჩატარდა 2783 შინამეურნეობაში. კვლევა მოიცავს ინფორმაციას, განცხადებული, ოფიციალური და ეკონომიკური საკუთრების შესახებ, შინამეურნეობის საკუთრებაში არსებულ ისეთ აქტივებთან მიმართებაში, როგორიცაა: საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები და სხვა. საქართველო, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანასთან ერთად არის პილოტური ქვეყანა, რომლებმაც აიღეს ვალდებულება გენდერულ ჭრილში აქტივების მფლობელობის შეფასების კვლევის განხორციელებასა და აღნიშნული ინდიკატორის შეფასების მეთოდოლოგიური საკითხების დახვეწაში მონაწილეობის მიღებაში. საბოლოოდ, კვლევის შედეგები და მეთოდოლოგიურ საკითხებში მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება აღნიშნული კვლევის საერთაშორისო მეთოდოლოგიის შემუშავებაში. კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2017 წელს.

შინამეურნეობათა გამოკვლევა

- მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებულ საერთაშორისო ექსპერტთან ერთად განხორციელდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის შერჩევის დიზაინის გადახედვა და ცვლილება. ამასთან, განხორციელდა შერჩევის პირველადი ერთეულების (სააღწერო უბანი) შერჩევა და 2017 წლის პირველი კვარტლის შერჩეული უბნების სიების დაზუსტება;
- დაიწყო და 2017 წელსაც გაგრძელდება სამუშაოები შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის კითხვარისა და კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწაზე, მათი ოპტიმიზაციისა და ასევე ახალი ინდიკატორების დანერგვის მიზნით;
- მიმდინარეობდა და 2017 წელსაც გაგრძელდება სამუშაოები შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის არსებული მონაცემების ანალიზისა და სანდოობის შეფასების მიმართულებით, რათა შეძლებისდაგვარად დეტალური და მრავალფეროვანი მონაცემების გავრცელება გახდეს შესაძლებელი;
- მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან თანამშრომლობის გზით, შემუშავდა აბსოლუტური სიღარიბის ამსახველი ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგია. აღნიშნული ინდიკატორების გაანგარიშება და გავრცელება განხორციელდება 2017 წლიდან;
- 2016 წლიდან დაიწყო „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევა შინამეურნეობებში“. კვლევა ემყარება ევროსტატის მეთოდოლოგიას და მიზნად ისახავს მოსახლეობის მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლების დადგენას, როგორიცაა: ინტერნეტისა და კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობა, გამოყენების სიხშირე, მიზანი და სხვა.

შრომის სტატისტიკა

- 2017 წლიდან დამოუკიდებელი, რეგულარული, სრულმასშტაბიანი სამუშაო ძალის გამოკვლევის დანერგვის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სამუშაო ძალის მოდული გამოეყო შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას; განისაზღვრა სამუშაო ძალის გამოკვლევიდან გასაანგარიშებელი ინდიკატორების სია და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია; საერთაშორისო ექსპერტთან სამუშაო შეხვედრების შესაბამისად განისაზღვრა სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის დიზაინი და შერჩევის ზომა (კვარტალში დაახლოებით 6000 ათასი შინამეურნეობა). ამასთან, განხორციელდა შერჩევის პირველადი ერთეულების (სააღწერო უბანი) შერჩევა და 2017 წლის პირველი კვარტლის შერჩეული უბნების სიების დაზუსტება; განხორციელდა TAIEX-ის ექსპერტების მისია, რომელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა კვლევის კითხვარების დიზაინი და კითხვარების შევსების ინსტრუქცია; გამოკვლევის საველე სამუშაოების განხორციელების მიზნით ტრენინგები ჩაუტარდა კვლევის ინტერვიუერებსა და ზედამხედველებს; დაიწყო კვლევის მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის პროგრამისა და მათი ლოგიკური კონტროლების სისტემის შემუშავება, რომელიც დასრულდება 2017 წლის დასაწყისში. ზემოაღნიშნულის საფუძველზეც კვარტალურად გავრცელდება მოსახლეობის ეკონომიკური

აქტივობის (დასაქმება, უმუშევრობა) მაჩვენებლები. აგრეთვე, განხორციელდება ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება.

-

სოციალური ინფრასტრუქტურა

- გენდერული სტატისტიკის დამატებით, ახალი ინდიკატორების მოძიებისა და გენდერული სტატისტიკის პუბლიკაციის სრულყოფის მიზნით განხორციელდა 3 თანამშრომლის ტრენინგი შვედეთის სტატისტიკის ბიუროს ექსპერტების მიერ
- კვლევის „თეატრის მუშაობის მონაცემები“ კითხვარების შევსება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში
- დასრულდა სამუშაოები უმაღლესი განათლების სტატისტიკური კვლევების კითხვარების ონლაინ რეჟიმში მიღებასთან დაკავშირებით.

ტურიზმი

- ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევების დიზაინის, შერჩევის, შეწონვისა და იმპუტაციის მეთოდოლოგიის გადახედვის მიზნით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრები შვედეთის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტებთან;
- დაიწყო და 2017 წელსაც გაგრძელდება თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საზღვრის კვეთის მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების მიზნით. აღნიშნული აუცილებელია უცხოელ ვიზიტორთა კვლევის შერჩევის, მონაცემთა შეწონვისა და გავრცელებისთვის.

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო

- განხორციელდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება;
- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა ძირითადი თემატური რუკები;
- გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და შვედეთის მთავრობის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში, დემოგრაფიული მონაცემების 2014 წლის აღწერის მონაცემებთან ჰარმონიზაციის მიზნით მიმდინარეობს წინა წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშების სამუშაოები;
- მომზადდა 2015 წლის დემოგრაფიული მაჩვენებლები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციული სალდო და სხვა).

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა

- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმა 2016-2020 (SPAERS);

- სტრატეგიული გეგმის საფუძველზე გაიზარდა და განახლდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ზომა 5 ათასიდან 12 ათასამდე;
- განხორციელდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის 2017 წლის შერჩევის ფორმირება ახალი როტაციული მეთოდით;
- განხორციელდა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება;
- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) თხოვნით, მათ მიერ გასავრცელებელი პუბლიკაციისთვის საქართველოს მაგალითზე მომზადდა ნაშრომი "საერთო შერჩევის ბაზის (MSF) შექმნა და გამოყენება სოფლის მეურნეობის გამოკვლევებისთვის"
- დაიწყო მუშაობა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევაში კომპიუტერების საშუალებით (ტაბლეტების) მონაცემთა შეგროვების მეთოდის დანერგვის მიმართულებით;
- დაიწყო მუშაობა 2017 წელს განსახორციელებელი აკვაკულტურის საპილოტე გამოკვლევის კითხვარის შექმნაზე;
- FAO-ს დახმარებით მომზადდა დოკუმენტი "სასოფლო მეურნეობების შერჩევითი გამოკვლევის ახალ დიზაინზე გადასვლის აღწერა";
- მომზადდა ტრენინგის პროგრამა სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების სტატისტიკოსებისთვის;
- ჩატარდა წყალმომმარაგებელი კომპანიების საპილოტო გამოკვლევა.

<u>ინფორმაციული ტექნოლოგიები</u>

- შეიქმნა რეგიონული სტატისტიკის პორტალი,
- დაიწყო მუშაობა "სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ზოგადი მოდელი"-ის (The Generic Statistical Business Process Model) პროგრამულ პროდუქტზე.

სტატისტიკური გამოკვლევების მონიტორინგი

შიდა აუდიტორული შემოწმება განხორციელდა შიდა აუდიტის 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში.

სტრუქტურულ ერთეულებში აუდიტორული შემოწმება განხორციელდა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- სტატისტიკური სამუშაოების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება და მათი შესაბამისობა სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდართან;
- „სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის" საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული კვლევების საველე სამუშაოების მონიტორინგი;
- შემოწმებული სტრუქტურული ერთეულების „სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის" საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული კვლევების ბიუჯეტების გეგმისა და ფაქტიური შესრულების შესაბამისობა კანონმდებლობასთან;

- შემოწმებულ სტრუქტურულ ერთეულებში შემოსული/გასული კორესპონდენციების შესრულების მდგომარეობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;
- შრომის შინაგანაწესის შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების და სამსახურიდან გასვლის მონიტორინგი;
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

შიდა აუდიტის სამმართველომ 2016 წელს ასევე განახორციელა არაგეგმიური დავალებები, რომლებიც ითვალისწინებდა „საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის“ და „უცხოელ ვიზიტორთა კვლევის“ მონიტორინგს.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით. იმისთვის რომ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები იყოს ურთიერთშედარებადი, აუცილებელია ყველა ქვეყანა ერთი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდეს. საერთაშორისო მეთოდოლოგიები ძირითადად დგინდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა). ამიტომ, "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. გამოვყოფთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას:

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის შესრულება:

1. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა დამუშავება, სოფლის მეურნეობის კომპონენტის ჩათვლით და საბოლოო შედეგების გამოქვეყნება - შესრულდა სრულად.
2. მიკრომონაცემთა გავრცელების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები - მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკის შემუშავება - შესრულდა ნაწილობრივ. შვედეთის სტატისტიკურ ბიუროსთან თანამშრომლობის პროექტის ფაგრგლებში საქსტატის 26 თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობისა და მიკრომონაცემების გავრცელების საკითხებზე. მომზადდა კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც კონფიდენციალური ინფორმაციის გაუვრცელებლობის თაობაზე საქსტატის თანამშრომელთა ვალდებულებებს აზუსტებს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მიკრომონაცემების გავრცელების და გამჟღავნების კონტროლის სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, რომლებიც 2017 წლის პირველ ნახევარში დამტკიცდება.

- 2016 წელს გრძელდებოდა თანამშრომლობის პროექტი შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან. პროექტის ფარგლებში 2016 წელს განხორციელდა შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების საქსტატში 12 მისია და საქსტატის თანამშრომლების 2 სასწავლო ვიზიტი შვედეთში. სასწავლო ვიზიტები განხორციელდა შემდეგი თემატიკის მიხედვით: გენდერული სტატისტიკა და გარემოს დაცვის სტატისტიკა (სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სამმა თანამშრომელმა), საქსტატში შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების მისიები განხორციელდა შემდეგ სფეროებში: ეროვნული ანგარიშები, ფასების სტატისტიკა, ბიზნეს სტატისტიკა, სოციალური სტატისტიკა, გარემოს სტატისტიკა და მონაცემთა კონფიდენციალურობის საკითხებზე. შვედი

ექსპერტის მონაწილეობით, ხარისხის მართვის საკითხებზე მუდმივმოქმედ უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს ჩაუტარდა ტრეინინგი ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების საკითხებზე. ასევე აღსანიშნავია პროექტის ფარგლებში, საქსტატის თანამშრომლობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივის რესურსების დაცვის სამინისტროსთან, გარემოს სტატისტიკის გაუმჯობესების მიმართულებით. მუშაობა მიმდინარეობდა ისეთი თემატური დარგების სტატისტიკის გაუმჯობესებაზე, როგორიცაა ჰაერისა და წყლის სტატისტიკა.

- 2016 წელს, ტექნიკური დახმარების ფარგლებში, საქსტატში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. ვიზიტის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტებმა იმუშავეს ორი მიმართულებით - ეროვნული ანგარიშები და საგარეო სექტორის სტატისტიკა.

მისიის მიერ განხორციელდა ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა საკითხების განხილვა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში ასევე მოხდა საგარეო სექტორის სტატისტიკის სხვადასხვა საკითხების განხილვა, საქსტატისა და ეროვნული ბანკის მუშაობისა და კოორდინაციის შეფასება, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების გაუმჯობესებისათვის. რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.

- FAO-ს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგული გეგმა 2016-2020 (SPAERS)-ის პროექტი.
- 2016 წელს მიმდინარეობდა თანამშრომლობა USDA-სა და FAO-სთან სასოფლო-სამეურნეო აღწერის, იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო აღწერების მონაცემთა დამუშავების, შედეგების ანალიზის მიმართულებით.
- USDA-ს დახმარებით 370-მდე საველე პერსონალს ჩაუტარდათ ფართომასშტაბიანი ტრენინგი სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის კითხვარებსა და მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით.
- 2016 წლის აპრილში გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციისა (EFTA) და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის საკითხებთან დაკავშირებული სემინარი. მასში მონაწილეობდნენ იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულები არიან მიგრაციის მონაცემთა წარმოებისა და მიგრაციის პოლიტიკის ფორმირების პროცესში.
- 2016 წლის დეკემბერში განხორციელდა ყაზახეთის სტატისტიკის კომიტეტის დელეგაციის სასწავლო ვიზიტი, რომლის მიზანი იყო გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების დანერგვის საორგანიზაციო და მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა და საქსტატის გამოცდილების გაზიარება.
- 2016 წელს საქსტატში იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის ორი ექსპერტი. ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის შერჩევის დიზაინის სრულყოფა, სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის დიზაინის განსაზღვრა და აბსოლუტური სიღარიბის ინდიკატორების გაანგარიშების მეთოლოგიის შემუშავება.

- 2016 წლის ოქტომბერში განხორციელდა TAIEX-ის ექსპერტების მისია, რომელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა სამუშაო ძალის გამოკვლევის კითხვარების დიზაინი და კითხვარების შევსების ინსტრუქცია.
- 2016 წელს თბილისში ჩატარდა ევროსტატის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსი სტატისტიკური კვლევების ხარისხის მართვის საკითხებზე ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (აღმოსავლეთის) და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.
- 2016 ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ფინანსური მხარდაჭერით და ასევე ნორვეგიის სტატისტიკის მხარდაჭერით, საქართველოში ჩატარდა სტატიტიკური ბიზნესს კურსი თემაზე: ბიზნეს კვლევების პროექტირება. "Designing and Conducting Business Surreys". სემინარში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხა ქვეყნის სტატისტიკის სამსახურის წარმომადგენლები.
- 2016 წელს საქსტატმა მონაწილეობა მიიღო ევროსტატისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სხვა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და შეხვედრებში.

გეგმები 2017 წლისთვის

2017 წელს საქსტატი გეგმავს აქტიურ მუშაობას ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა:

- გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და შვედეთის მთავრობის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდება წინა წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება. მომზადდება აღწერის მონაცემების ჩაღრმავებული ანალიზი ახალგაზრდების, დაბერების, მოსახლეობის დინამიკის და გენდერის თემებზე.
- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით თემატური რუკების მომზადება.
- მთლიანი შიდა პროდუქტის პროდუქტებზე გადასახადების გაანგარიშება დარიცხვის მეთოდით.
- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების დამუშავება ტრანსპორტირების სახეობების მიხედვით;
- შემოსავლების სამსახურის და მომსახურების სააგენტოს მონაცემთა კოორდინირებული კორექტირება საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ, საგადასახდელო ბალანსსა და საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა მწკრივის გადასინჯვა და აუცილებელი ცვლილებების განხორციელება, საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE rev2-ის დანერგვა;
- გაგრძელდება სამუშაოები შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის კითხვარისა და მეთოდოლოგიის დახვეწაზე, მათი ოპტიმიზაციისა და ახალი ინდიკატორების დანერგვის მიზნით.
- განხორციელდება აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების წარმოება და გავრცელება.
- განხორციელდება გაეროს მიერ შემუშავებული გენდერული ინდიკატორების გლობალური მინიმალური სიის შესაბამისი მაჩვენებლების მოპოვება და გავრცელება;
- დასრულდება სამუშაოები ,,გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე“ კვლევის ინდიკატორების გაანგარიშებაზე და შეიქმნება კვლევის ანალიტიკური ანგარიში.
- განხორციელდება შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევის კითხვარის და მეთოდოლოგიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება, ევროსტატის ანალოგიური კვლევის მიმდინარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- განხორციელდება „ქალთა მიმართ ძალადობის“ კვლევა, რომლის საშუალებითაც დახასიათდება გენდერული სტატისტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება.
- 2018 წელს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ჩატარების მიზნით განხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები;
- განხორციელდება დამოუკიდებელი, სრულმასშტაბიანი, რეგულარული სამუშაო ძალის გამოკვლევა, რის საფუძველზეც კვარტალურად გავრცელდება მოსახლეობის

ეკონომიკური აქტივობის (დასაქმება, უმუშევრობა) მაჩვენებლები. აგრეთვე, განხორციელდება ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება;

- სამუშაო ძალის გამოკვლევაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE rev1.1-ის პარალელურად დაინერგება ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი NACE rev2;
- საფინანსო საქმიანობით დაკავებულ საწარმოთა წლიური გამოკვლევის განხორცირლება;
- ცვლილება საწარმოთა ზომის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში;
- საწარმოთა კვარტალურ და წლიურ სტატისტიკურ კვლევებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE REV.2-ის სრულად დანერგვა;
- გაგრძელდება მუშაობა ევროსტატის ექსპერტების მიერ მომზადებული ბიზნეს სტატისტიკის სექტორული მიმოხილვის რეკომენდაციების განხორციელებაზე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- ელექტრო ენერგიაზე და ბუნებრივ გაზზე ფასების სტატისტიკის წარმოება;
- ყოველთვიური და მოკლევადიანი ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოება
- შინამეურნეობებში ენერგიის მოხმარების წლიური კვლევის განხორციელება;
- აკვაკულტურების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება;
- წყალმომმარაგებელი კომპანიების გამოკვლევის ჩატარება;
- სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების სტატისტიკოსებისთვის ტრენინგის ჩატარება;
- ანონიმიზებული მიკრო მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების გზით;
- სასოფლო მეურნეობათა ახალი შერჩევის საფუძველზე დამატებითი ინდიკატორების გამოქვეყნება და რეგიონული დაფარვის გაუმჯობესება;
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევაში, კომპიუტერის მეშვეობით პერსონალური ინტერვიუირების (CAPI) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;
- მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორის განახლებული ვერსიის დანერგვა;